მეორე წელიწადი | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 24 მაისი 1916 წ. | № 114

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ᲫᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

დ. ხაშურის ვაჭთა გიმნაზიის მასწავლეგლეგი

გულ დათუთქულნი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ თანამოსამსახურის, ამხანაგის

მიხეილ პიმენის ძე

რაჭიანის

ტრაღიკულ გარდაცვალებას.

განსვენებულის ნეშთს დაბა ხაშურის სადგურიდან გაასვენებენ 23 მაისს ქუთაისში. დაკრძალვა ოთხშაბათს, 25 მაისს.

(2—197—1)

გულმოკლული მეუღლე პაშა იოსების ასული, სიდედრი გუგულო, სიმამრი იოსები, ცოლის ძმები ალექსანდრე, ბესარიონი, გრიგოლი, სადიკო და ჯაბა ლომინაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 19 მაისს ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველისა საყვარელი მეუღლე, უკანასკნელთა ძვირფასი სიძე, დ. ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელი

მიხეილ პიმენის ძე რაჭიანი

განსვენებულის გვამი ხაშურის სადგურიდან ქუთაისს გადაასვენეს გუშინ, 23 მაისს. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 25 მაისს.

1—199—1

მაკა სოლომონის ასული, მიხეილ, პეტრე, გერასიმე, ვანო, ისაკი, მარიამი და ბაბლია, რძლები: ნინო და სონა, შვილიშვილები: გიორგი, სერგო, კოლა, საშა და მიშა მიხელის ძენი, იოსები და კოტიკა გერასიმეს ძენი ტარასაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 მაისს, ველისციხეში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორეთა ძვირფასი მამა, მესამეთა მამამთილი და უკანასკნელთა პაპა

გიორგი დიმიტრის ძე

ტარასაშვილი

დასაფლავება ველისციხეში ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში პუთშაბათს, 26 მაისს. (2—200—1)

სახალხო სახლი

სამშაბათს 24 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ედმონდ კინი

ტრაღ. 5 მოქ. ალ. დიუმასი, თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., ვლ. ალ.-მესხიშვილი, აბაშიძე ვ., გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., კორიშელი პ., ვარვარიძე, ვ., ჩაგუნავა ნ.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8½ ს. ✦ **რეჟისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი.**

ადგილების ფასი 30 კ.-დან 2 მ. 40კ.-მდე. (2-97-2)

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისთვის

საჭიროა მოსამსახურენი

მდივანი—ჯამაგირი 1500 მ., **ორი ინსტრუქტორი**—1500 მ. (და სამგზავრო ხარჯი), **უფროსი გუჯხგალტერი**—1800 მ., აგრეთვე **გამგე** საქონლის საწყობისა და მისი **თანაშემწე, ბუჰხგალტერის თანაშემწე** და სხვ. უპირატესობა მიეცემა ადგილობრივ ენის (ქართულის და სომხურის) მცოდნე, ხოლო ინსტრუქტორებისათვის აუცილებლად საჭიროა **ქართული** ენის ცოდნა. განცხადება და ცნობები წინანდელ სამსახურის შესახებ უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Тифлисъ, Потребительное общество „Возрожденіе“, Таможенная 4, для „Союза“. 1—198—1

ᲒᲐᲚᲕᲔᲠᲨᲘ

სადგურის მახლოგლად, საუცხოვო ადგილას მუავე ფულის ახლოს,

ᲮᲐᲩᲘᲫᲘᲡ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲨᲘ

მშვენიერ შენობის ზემო სართულში **ვიყვან პანსიონერებს** მეტად შეღავათიან პირობებით.

10—101—4 პანსიონის გამგე **მარიამ ᲫᲕᲐᲜᲘᲐ.**

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲒᲐᲖ. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

ᲬᲘ�გᲜᲘ I.

გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲚᲐᲓ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“ ᲦᲘᲠᲡ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲞᲠᲔᲒᲣᲚᲝᲕᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲒᲣᲚᲘᲐ:

1. **სანდრო შანშიაშვილი**—სალამური.
2. **ი. გრიშაშვილი**—რა კარგი ხარ...
3. **კ. მაყაშვილი**—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. **ინ-ბანი**—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. **ხ. შანშიაშვილი**—ბერდო ზმანია.
6. **შიო მღვიმელი**—მუდამ სევდიანს.
7. **ვ. რუხაძე**—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. **გ. ქუჩიშვილი**—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. **ლეო ქიაჩელი**—მუხა და ტირიფი.
10. **დ. კასრაძე**—ღვირღვა.
11. **ალ. ყაზბეგი**—დარო.
12. **ტრ. რამიშვილი**—ჭკუა მხიარული.
13. **დიმიტრი არაყიშვილი**—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

წიგნი დასურათებულია მხატვარ **ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲡᲘᲓᲐᲛᲝᲜ-ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ** მიერ. წიგნში ჩართული 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ

ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲐᲮᲚᲘᲜᲬᲣᲚ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲕᲘᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲘᲡ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝ Გ. ᲡᲔᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

✦ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ✦

ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

ᲞᲔᲞᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲝᲡ. ᲭᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲔᲜ ᲤᲐᲡᲨ

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲢᲧᲘᲓᲐᲜ

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

ᲐᲓᲐᲛ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲫᲘᲡ

ᲑᲔᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲛᲘ

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—)

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ

მამულაიშვილმა

(ᲮᲝᲚᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲓᲝᲚᲢᲐᲫᲐᲠᲘ

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Დ. ᲨᲐᲰᲐᲒᲐᲖᲘᲐᲜᲪᲘ

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

Დ. ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ

დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

✦**ᲞᲠᲝᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ**✦

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ᲔᲥᲘᲛᲘ მ. გ. ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 **საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისაათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—6)

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲠᲔᲑᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐ.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 19 **მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** მტრის არტილერიამ დ. შლოკის და იქსკიულის სიმაგრეებს ყუმბარები დაუშინა. დვინის მიდამოებში სხვა და სხვა ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. 20 მაისს, მთელი ღამის განმავლობაში მძიმე და სუბუქი ზარბაზნები აამოქმედეს კრევოს ჩრდილო-აღმოსავლეთით. 19 მაისს, საღამოს 10 საათზე, გერმანელებმა იერიში მიიტანეს სოფ. ბოგუშესთან, დ. კრევოს სამხრეთ აღმოსავლეთით, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. დიარბექირის მიმართულებით, ბინგელსის ველზე, ჩვენმა ჯარმა ოსმალთა იერიში მოიგერია. სამი დღის ბრძოლაში რევანდუზთან მტერი დამარცხდა და უკან დაიხია რევანდუზის დასავლეთით გამაგრებულ ადგილებში.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 22 **მაისი, ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** პულკარნის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში მტერმა წინ წაწევა სცადა, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. დვინის მიდამოებში სხვა და სხვა ადგილას საშინელი საარტილერიო სროლა ასტეხეს. საღამოთი 20 მაისს, ზარბაზნის სროლით გერმანელები გავფანტეთ, რომლებიც კრევოს სამხრეთ - აღმოსავლეთით თავს იყრიდნენ. კრევოს სამხრეთ მიდამოებში ღამე 21 მაისს ჩვენ სანაღმო ორმოები ავაფეთქეთ. აფეთქების შემდეგ, გერმანელებმა ორმო გაანათეს და სროლა ასტეხეს, რის შემდეგაც შემოტევა სცადეს, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

21 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, დ. კომაის მიდამოებში, ჩვენს მფრინავზე იერიში მიიტანა „ფოკერმა“. ჩვენი მფრინავი ტყვიის მფრქვეველით შეეხვდა. „ფოკერი“ იძულებული იყო, თავიანთ ადგილში ჩამოშვებულიყო. 20 მაისს, მტრის მფრინავმა მოლოდეჩნოს სადგურზე 4 ყუმბარა ჩამოაგდო. სხვა ადგილებში პატარ-პატარა შეტაკებებია.

კავკასიის ასპარეზი. 19 მაისს, ზარბაზნების სროლის შემდეგ, ოსმალებმა იერიში მოიტანეს მაღლობზე ენიკეს ჩრდილო-დასავლეთით, ერზინჯანის მიმართულებით, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ და უკან დაიხიეს. ენიკეის სამხრეთით, დორნოგელის მთის ფერდობებზე, ჩვენმა ჯარმა მტერი უკან დასწია და წინ წაიწია.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 მაისი. ინგლისის საადმირალო იუწყება: დღისით, 18 მაისს, იუტლანდიის ნაპირებთან მოხდა საზღვაო ბრძოლა. ინგლისელთა გემებს, რომელთაც ბრძოლის სიმძიმე დაატყდათ თავზე, შეადგენდა: ჯავშნიან კრეისერთა მთელი ფლოტი, აგრეთვე რამდენიმე მსუბუქი კრეისერი, რომელთაც ზურგს უმაგრებდათ ოთხი სწრაფელ მავალი ჯავშნოსანი. ამ გემებს დიდი ზარალი მოუვიდათ. გერმანელთა ჯავშნიანი გემები განსაკუთრებულ ფერებით იყო შეღებილი, უჩინარ სახით. გერმანელთა ფლოტი სც დილობდა პირდაპირ შებმას მოჰრი-

დებოდა. ისარგებლეს რა ფერის უპირატესობით, მათ მოახერხეს ნავთსადგურში დაბრუნება, თუმცა საგრძნობელი ზარალი იმათაც მოუვიდათ. ინგლისელთა კრეისერები, ჯავშნიანი „კვინ-მერი“, „ინდეფატიგაბლ“ და „ინვინსიბლ“, სუბუქი კრეისერები „დეფენსი“ და „ბლაკ-პრინსი“ დაღუპულია, ხოლო „ურიორი“ დაზიანდა და მეორე გემის დამარცხებით წაიყვანეს. ასევე ცნობაა მიღებული, რომ კონტრ-ნაღმოსნები „ტიპერარი“, „ტიურბიულენდი“, „ფოსტიუნი“, „ეროხოკი“ და „არლენტი“ დაღუპულია. ექვსი გემის შესახებ ჯერ კიდევ ცნობა არ მოსულა. ინგლისელთა ჯავშნოსნებიდან, საზოგადოდ დიდი გემებიდან, არც ერთი არ დაღუპულა. გერმანელთა ზარალიც დიდია. ყოველ შემთხვევაში ერთი ჯავშნიანი კრეისერი დაღუპულია, ერთიც მძიმედ დაზიანდა, ერთიც, როგორც ამბობენ, ინგლისელთა კონტრ-ნაღმოსნისაგან ღამით ჩაიძირა, ორი სუბუქი კრეისერი საგრძნობლად დაზიანდა და ვგონებთ რომ დაიღუპა კიდეც. გერმანელთა დაღუპულ კონტრ-ნაღმოსანთა შესახებ ცნობა არ არის მოსული, მაგრამ დიდი ზარალი კი უნდა მოსვლოდეთ.

პარიზი. 21 მაისი. ოფიციალი. დღის ცნობა. შამპანში, მონტეტოს დასავლეთით, მტერი გავდევნეთ ხელის ყუმბარებით. არგონებში, ფილ-მორტის დასავლეთით იერიში მოვიგერიეთ. მეორე იერიშმა, რომელიც საღ. 8 საათ. იმავე ადგილებში მოიტანა მტერმა, უშედეგოთ ჩაიარა. მაასის მარცხენა ნაპირზე „304“ სიმაღლის სანგრებს გერმანელების არტილერია მხნედ ესროდა. ვოს მიდამოებში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლა გრძელდება მთელი საშინელებით. გერმანელებმა ვერ შესძლეს სანგრების დაჭერა სიმაგრის დასავლეთით. მიუხედავად ჩვენი ცეცხლის მფრქვეველებისა და არტილერიისგან მიყენებულის ზიანისა, გერმანელები ხელმეორედ გააფთრებულები წამოვიდნენ თვითონ ვოს სიმაგრეზედ და შესძლეს სიმაგრის ჩრდილო ნაწილის დაჭერა, სიმაგრის შიგნითა ნაწილი კი ისევ ფრანგების ხელშია.

რომი, 20 მაისი. იტალიის ცნობა. ადიჯეს და ბრენტოს შუა განსაკუთრებით სეტტე-კომუნის მიდამოებში ომი გრძელდება. ლაგარინოს ველებში გუშინ არტილერია მედგრად მოქმედობდა. იერიშის შემწეობით, ზემო ვალსაროში წინ წავიწიეთ. 19 მაისს, ღამით იერიშები მოვიგერიეთ კუაროს მიმართულებით, არსიეროს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩვენმა არტილერიამ სწრაფად გაანადგურა მოიერიშე ჯგუფები. გუშინ, კოლე-დი-კომოდან როკოტომდე ყველა ყალიბის ზარბაზანი მოქმედებდა. ფუბინის და პოზინოს შუა მტერმა თავი მოუყარა მთელს თავის ჯარს მონტეონიხის მიმართულებით იერიშით წამოვიდა. მარჯვენა ფრთაზე, სეჰეკორის მიდამოებში. მტერი იერიშით წამოვიდა იგი უსაშინელეს ბრძოლის შემდეგ, უკუ ვაქციეთ.

ლონდონი. 20 მაისი. ინგლისის ცნობა. იპრის და იპრ-კომინის რკინის გზის შუა უსაშინელესი ბრძოლა მოხდა. დილის 9 ს. 15 წ. გერმანელებმა სროლა დაიწყეს. მოპირდაპირემ, ქვეითი ჯარის შემწეობით შუადღისას ჩვენი მოწინავე თხრილები დაიჭირა. გუშინ 6 ს. 30 წ. მოპირდაპირის არტილერია მიყუჩდა. ომი ამ ადგილებში გრძელდება. ჩვენ გერმანელების მოწინავე თხრილებში შევიჭერით; შემდეგ ჩვენმა ქვეითა ჯარმა უკან დაიხია. ვიმიდან ლოოსის მიდამოებამდე მტრის ზარბაზნების მოქმედება მინელდა. ლა-ბასეს არხის ჩრდილოეთით, გერმანელთა ბურჯები დავანგრიეთ, არასის და სომმას შუა ჩვეულებრივი ბრძოლაა. ტაივალში მტრის არტილერიამ საკმაო მოქმედება გამოიჩინა. მშვენიერი ამინდი მფრინავებს ხელს უწყობდა.

პარიზი, 20 მაისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზედ, „304“ სიმაღლის სექტორში და მორტჰომ-მაასის შუა საარტილერიო სროლაა. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვოს ტბის და სოფელ დანლუს შუა გერმანელებმა ჩვენს სანგრებზედ მკაცრი იერიშები მოიტანეს. იერიში მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. ჩვენმა სასტიკმა წინააღმდეგობამ მოპირდაპირის ძალა შემუსრა. ვოს სიმაგრის დასავლეთით გერმანელთა წინსვლა შევაფერხეთ. ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია, გერმანელთა რაზმები საშინლად დავაზარალეთ. დანლუს სექტორში, მაასის გორაკებთან მოპირდაპირემ სოფელი დაიჭირა. მარცხენა ნაპირის ასპარეზზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

საზღვაო ბრძოლა

გერმანეთის ესკადრა ზღვაზე გაჩნდა, რომელსაც წინ სუბუქი და ჯავშნოსანი გემები მიუძღოდა. ესენი ინგლისელთა კრეისერებს ჩრდილოეთ ზღვაზე შეჰხვდნენ 18 მაისს საღამოს 5 ს. ცოტა ხანს შემდეგ გერმანელთა ფლოტის უმთავრესი ძალებიც მოეშველნენ ადმირალ შერის მეთაურობით და ამის შემდეგ ბრძოლა ერთიორად გაცხოველდა, რომელიც იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე ინგლისელთა კრეისერებს ოთხი დიდი კრეისერი „უორსპაიტის“ ტიპისა არ მოეშველა.

ამ დროდან იწყება მეორე ხანა საზღვაო ბრძოლისა, რომელიც დიდი ხანი არ გაგრძელებულა. ეს ადვილი ასახსნელიცაა, რადგანაც „უორსპაიტის“ ტიპის კრეისერები ძლიერს ძალას წარმოადგენს. იგი შეიარაღებულია 15-დიუმიანი ზარბაზნებით, რომლის ტყვიაც კაცის სიმაღლისა იქნება. ცხადია ამას საშინელი ვნების მოტანა შეუძლიან. ამგვარი ზარბაზნები გერმანეთის ფლოტს არა აქვს და მათი საზღვაო ზარბაზანი 12-დიუმიანს არ აღემატება. გერმანეთის ფლოტმა იგრძნო სისუსტე, ბრძოლა შეაჩერა და მიეფარა. ამ დროს ჩამობნელდა და ბრძოლა მხოლოდ ნაღმოსნებსა და წყალქვეშებს შორის მოხდა. ინგლისის ფლოტი შესამჩნევლად დაზარალდა, რადგანაც მან კრეისერ-ზედრედნოუტი კვინ-მერი დაჰკარგა, 28.000 ტონიანი. მისი სისწრაფე საათში 30 კვანძს აღემატებოდა, ზედ იყო რვა ზარბაზანი 343 მილიმეტ. და 16 ზარბაზანი 102 მილიმეტ. ინგლისელებმა დაჰკარგეს აგრედვე დრედნოუტი „ინდეფატიგებლი“ და „ინვინსიბლი“, რომელიც შეიარაღებული იყო 8 ზარბაზნით 305 მილიმ. და 16 ზარ. 102 მილიმეტ. 20.000 ტონიანი თითო. მათი სისწრაფე საათში 26—27 კვანძს უდრიდა.

დაიღუპა შემდეგი კრეისერები: „დეფენსი“ „ბლეკ პრენს“ და „უორიორ“. ესენი დაძველებული ტიპის კრეისერებია. გარდა ამისა ინგლისელებმა რამდენიმე ნაღმოსანიც დაჰკარგეს.

გერმანელებმაც დიდათ იზარალეს მათ დაეღუპათ დრედნოუტი „კაიზერი“, რომელიც საუკეთესო გემს წარმოადგენს გერმანეთის ფლოტისას იგი 25.000 ტონიანია საათში 24 კვანძს გადიოდა. შეიარაღებული იყო 10 ზარბაზნით, 305 მილიმ., 14 ზარბ. 150 მილიმეტრ.; შემდეგ დაიღუპნენ: კრეისერი „პომერნი“ 13,000 ტონიანი; კრეისერი „დერფლინგერი“ 28,000 ტონიანი; „ლიუცოვიც“ ამგვარი ტიპისა. გარდა ამისა გერმანელებს დაეღუპათ მრავალი ნაღმოსანიც.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანეთი და მისი მოკავშირენი ბალკანეთზე.

ჰოლანდიურ გაზეთის „Telegraff“-ის ცნობით, და სარწმუნო წყაროების მიხედვით ბალკანეთის კუნძულზე გერმანეთს და მის მოკავშირეთ 800.000 კაცი ჰყოლიათ. ამათგან 450.000 მაკედონიაში და ალბანეთში, 200.000 ბულგარეთში და სერბეთში, 150.000 ოსმალეთში. სალონიკის ასპარეზზე თავი მოუყარეს 350 ათას კაცს.

ეროვნულად ასე ნაწილდებიან: ბულგარელი—500 ათასი კაცი, ავსტრიელი—120 ათასი, გერმანელი—60.000, ოსმალო 130—140000 კაცი.

ბულგარელი ჯარი სალონიკში, დედეაგაჩთან, ვარნასთან და რუშჩუკში არის შეჯგუფებული, ხოლო მისი ნაწილი სერბეთში მოქმედობს.

გერმანელების გეგმა

სტოკჰოლმის გაზეთ „Sven. Daq.“-ის ბერლინელი კორესპონდენტი, რომელსაც შტაბის ერთ ხელმძღვანელთან უსაუბრია, ასე გადმოგვცემს გერმანელთა საზაფხულო მოქმედების გეგმას:

— ჩვენ ვერდენთან და საერთოდ საფრანგეთის ასპარეზზე ყველაფერი შემზადებული გვაქვს და თუნდაც წარმოვიდგინოთ ვერდენთან ჩვენი საქმის წაგება, მაინც საფრანგეთის ასპარეზი იმდენად დიდია, რომ სხვა ადგილებშიაც შევძლებთ ბრძოლის გაცხოველებას.

რაც შეეხება რუსეთის ასპარეზს, წარსულ ზამთარს ჩვენთვის ფუჭად არ ჩაუვლია. ბუკოვინიდამ დვინის შესართავამდე არ დარჩენილა ადგილი, რომელიც ისე არ გაგვემაგრებინოს, რომ რუსებს ერთი ნაბიჯით წინ წამოწევა შესძლებოდათ.

აღმოსავლეთის ასპარეზი კი 1000 ვერსის მანძილს წარმოადგენს და არც ისე ადვილია მისი გამაგრება. საკვირველი არაა, თუ აღმოსავლეთის ასპარეზიდან ჯარს საფრანგეთისაზედ გადვიყვანთ რადგანაც ჩვენ გვსურს საბოლოოდ შევმუსროთ საფრანგეთის ძალა. რუსეთის ასპარეზზე მოგერიებითი მოქმედებითაც შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ.

იტალიის ასპარეზი.

გერმანოფილური გაზეთი „Aftonbladet-“ აღნიშნავს ავსტრიელთა გამარჯვებას იტალიის ასპარეზზე და მოპირდაპირეთა ძალას ასე ანაწილებს: ავსტრიელთა 50 დივიზია იტალიელების 40 დივიზიის წინააღმდეგ მოქმედებს.

სანამ ავსტრიელები მედგარ იერიშებს დაიწყებდნენ, მათ მხოლოდ 30 დივიზია რუსეთის ასპარეზიდან და ბალკანეთიდან მოიშველიეს.

როგორც გადმოგვცემენ, გალიციაში ავსტრიელთა დივიზიის ადგილები გერმანელებმა დაიჭირეს.

ბულგარელ ჯარის შეჯგუფება.

ნეეროკოპის და ქსანტეს მიდამოებში ბულგარელები თავს იყრიან. როგორც მათის სამზადისიდან სჩანს, მათ ჰსურთ დრამაზედ და კავალაზედ იერიშები მიიტანონ. ბულგარელთ 11 დივიზიიდან, დღეს 10 მაკედონიის ასპარეზზდ იმყოფება. მე-4 დივიზია კვლავ განაგრძობს რუმინეთის საზღვარზე მოქმედებას. გერმანელთა მე-103-ე დივიზიას სტრუმიცის მიდამოები უჭირავს.

ჩუმი შეთანხმება საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის.

როგორც „რუს. ვედომ.“ იუწყება, საბერძნეთის სიმაგრე რუპელის აღება სკულუდისის ბრძანებით მოხდა. ფიქრობენ სკულუდისს და გუნარისს ჩუმი შეთანხმება დაუდვიათ ბულგარეთთან. მთავრობის გაზეთები ამართლებენ ბულგარელთა შესევას და მთელ დანაშაულებას მოკავშირეთ ახვევენ თავზე. მაკედონიაში ერთ მილიონამდე მცხოვრები ბერძენი იხიზნება. კავალა მალე სულ დაცარიელებული იქმნება. პარიზის პრესა აღელვებულია საბერძნეთის პოლიტიკით. „Matin“ მოითხოვს ბერძენთა კუნძულების დაბრუნებას.

ხმები ზავის შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანებში ხმა გავრცელდა ზავის ჩამოგდების შესახებ და ასახელებენ კიდევაც სახელმწიფოებს, რომელნიც შუამავლობას გასწევენ. ამ ხმების შესახებ გარეშე სამინისტროს ერთი წარმომადგენელთაგანი „რუსკ. ვედ“. თანამშრომელს შემდეგს გარდასცემს: პირადად მე უარს ვყოფ იმ აზრს, ვითომც გერმანეთი მოქანცულია ომით, ეკონომიურ სიკოტრეს განიცდის და ზავი სწყურიან. თუ გერმანეთი დღეს ზავის პირობებზე ალაპარაკდა, ეს იმითია გამოწვეული, რომ ისინი ომის გაგრძელებას ძველებური სახით ვეღარ შესძლებენ. გერმანეთი გამარჯვებული სახით გამოდის, მაშასადამე მეომართა დარჩენა ძველ ფარგლებში შეუძლებელია. მას უნდა ზავის პირობების ბრძანებელი გამოვიდეს, თუმც ბერლინში დარწმუნებულები არიან, რომ მოკავშირენი ამ უკანასკნელ ხანში უფრო ძლიერად გრძნობენ თავს. გარდა ამისა გერმანეთს აზრად აქვს ნეიტრალი სახელმწიფოების თავისკენ გადაბირება.

მოკავშირენი თუმცა ზავის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში უარსყოფენ, ვიდრე გერმანეთის ძალას ისე არ შეასუსტებენ, რომ მან ვეღარას დროს ვერ შესძლოს ომის განახლება.

ვილსონის სიტყვა.

პრეზიდენტმა ვილსონმა „მშვიდობიანობის დამამყარებელ საზოგადოების“ კრებაზე, სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ მთელი ქვეყნის დიდი ერები უნდა შეთანხმდნენ იმ საკითხში, თუ რა წარმოადგენს მათ საერთო ინტერესებს.

პატარა სახელმწიფოები იმ გვარივე თავისუფლებით უნდა სარგებლობდენ, როგორც დიდი ერები. ვილსონმა განაცხადა: შეერთებული შტატები ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ, რომ უზრუნველ ჰყონ პატარა სახელმწიფოთა უფლება.

შემდეგ ვილსონმა განაცხადა: თანამედროვე ომი დიდ ზარალს აყენებს შეერთებულ შტატებს და ზავის ჩამოგდება მისთვის ხელ საყრელია. როდესაც ომი გათავდება,—მკვიდრი ზავის დამყარებაა სასურველი. თუ ჩვენი სახელმწიფო-ზავის მოთავე გამოვა, დარწმუნებული ვარ, იმ პირობებს, რომელსაც შტატები წამოაყენებენ, ხალხი მხარს დაუჭერს.

ინგლისის პრესა და შეერთებული შტატები.

გაზ. „Dailu Nevs“ და „Star“ ვილსონის სიტყვის გამო სწერენ: შეერთებულ შტატებს იმ თავითვე შეეძლოთ ომისთვის ხელი შეეშალათ და ქვეყანას ამდენი უბედურობაც ასცდებოდა. ყველა ეს შეიძლებოდა, რომ ბელგეთის განადგურებაზე შტატებს ხმა ამოეღოთ. „Times“ გულისწყრომას გამოსთქვამს ვილსონის განცხადებაზე, ვითომც ამერიკას არავითარი ბრალი არ ედოს ომის გამწვავებაში. გაზეთი სწერს: მოკავშირენი იბრძვიან უფლების და სიმართლისთვის, ხოლო ამერიკამ კარგად იცოდა ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანიო.

კომისია ირლანდიის საქმეთა გამოსარკვევად.

ბოლო ხანებში მიღებულია დაწვრილებითი ანგარიში კომისიის პირველ სხდომისა, რომელიც არკვევს ირლანდიის ამბოხების მიზეზებს: ჩვენება პირველად სერ მატიუ ნატანს ჩამოართვეს, რომელიც ირლანდიის საქმეთა მდივნის თანაშემწე იყო.

ირლანდიის ამბოხება მოახდინა სამმა ორგანიზაციამ „ირლანდიელ მოხალისეთ“ „სამოქალაქო მილიციამ“ და „ირლანდიელ რესპუბლიკის ძმობამ“. „ირლანდიელ მოხალისეთა“ ორგანიზაცია 1913 წლის ბოლოს დაარსდა ჰომრულის საწინააღმდეგოდ. დროებითი კომიტეტი, რომელიც „ირლანდიელ მოხალისეთ“ ხელმძღვანელობდა, ცუდად უყურებდა რედმონდს და მისს მოკავშირეთ პარლამენტში. 1914 წ. თიბათვეში რედმონდმა შესცვალა კომიტეტის შემადგენლობა და მაშინ კომიტეტის სხვა წევრებიც დათანხმდნენ მიეღოთ კიდევ 25 კაცი, ირლანდიის საპარლამენტო ფრაქციისაგან არჩეული. მაგრამ ანატაგონიზმი ისევ შერჩა კომიტეტს და 1914 წ. სექტემბერს, ძველმა წევრებმა მანიფესტი გამოსცეს რედმონდის წინააღმდეგ, რადგანაც დიდ აგიტაციას ეწეოდა ომის სასარგებლოდ, თვით მოხალისეთა შორის, რედმონდს ყველა თანამგრძნობნი იწოდებოდნენ „ეროვნულ მოხალისეებად“ „ირლანდიის მოხალისეთგან“ გასარჩევად.

სერ ნატანმა განაცხადა: რედმონდის გავლენა თანდათან ჰკარგავდა ძალას. პირველად 180—170 ათასი კაცი იზიარებდა მის გულის თქმას, დუბლინის ამბოხების დროს კი მათი რიცხვი 105 ათასამდე შემცირდა. მაგრამ „ირლანდიელ მოხალისეთა“ რიცხვი 16.000 მაღლა ვერ ადიოდა, მათგან 3000 დუბლინში იმყოფებოდა. მათ ხელმძღვანელად ჯონ-მაკ-ნეილი ითვლებოდა, რომელსაც „ირლანდიის რესპუბლიკის“ ძმობაში დიდი გავლენა ჰქონდა. ზემოხსენებული საზოგადოება ამერიკის ორგანიზაციასთან იყო შე-

ეროგა

1. საერობო თათბირი.

ამ ორი კვირის წინად დასრულდა კავკასიის უმაღლესი მთავრობის მიერ მოწვეული თათბირი ერობის შესახებ. გვარწმუნებდნენ—გამოთქვით თქვენი აზრი ერობის შესახებ და ჩვენც მას დაუყოვნებლივ შემოვიღებთო. მოწვეულმა თათბირმაც უპასუხა—შემოიღეთ ჩვენშიაც ისეთი ერობა, როგორიცაა რუსეთშიო. ეჭვი არ არის, მას ბევრი ნაკლულევანება აქვს, ის რუსეთში უკვე აღარ მოსწონთ და მის გამოცვლასაც თხოულობენ, მაგრამ სანამდის რუსეთში უკეთესს შვმოიღებდეთ, მოგვეცით ჩვენც იმისთანა და როდესაც იქ გააუმჯობესებთ, ჩვენშიაც შეაკეთეთო. ასეთი იყო მოწვეული საერობო თათბირის სიტყვა. თათბირის მონაწილენი გვიმტკიცებენ—დაგვიჯერეთ, სურვილზე რომ იყოს საქმე, ისეთს რამეს მოვითხოვთ, რომ იმის მზგავსი არსად ყოფილიყოს, მაგრამ რა ჭკუა აქვს მარტო სურვილსო. ჩვენი აზრი და სურვილიც ბევრჯერ გამოგვითქვამს, წინადაც იყო ასეთი თათბირები და ჩვენც ისეთი ერობა მოვითხოვეთ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკას კი არა და თვით სოციალიზმსაც ბევრით არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ამ ჩვენმა სურვილებმა უქმად ჩაიარაო. ეხლა ჩვენ დავკმაყოფილდით იმით, რაც მათ აქვთ თავის სახლში და გარწმუნებთ, იმაზედ უკეთესს ჩვენ არავინ მოგვცემსო. რუსეთში მომქმედ საერობო კანონის მნიშვნელოვანი შეცვლა ერობის შემოღებას ჩვენში კიდევ დიდი ხნით გადადებდა. ეხლა კი მთავრობას სათქმელი არა დარჩენია რა. თუ ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღება უნდა ჩვენი დასტურიც ხელში აქვს. ოღონდ შემოიღონ ერობა და მისი შემდეგ შეკეთება და გაუმჯობესება უფრო ადვილი იქნება. ცუდია თუ კარგი რუსეთის ერობა, მას ამ ნახევარ საუკუნეში დიდი საქმე გაუკეთებია. სოფელი ფეხზე დაუყენებია გონებრივად, ქონებრივად და რაღა ჩვენ უნდა ვთქვათ უარი ასეთს ერობაზეო—გვარწმუნებენ საერობო თათბირის მონაწილენი.

ასეთს აზრს დაადგა თათბირის დიდი უმრავლესობა. უმცირესობა ორნაირი იყო. უპირველეს ყოვლისა საერობო თათბირის ყოველ დადგენილებას წინააღუდგნენ, როგორც ერთი კაცი, ჩვენი მეზობლების, სომხების, წარმომადგენელნი. ისინი მოითხოვდენ, რომ რუსეთში მომქმედი საერობო კანონი ძირიანად შეცვლილიყო. უპირველესად ყოვლისა, მათის აზრით, საჭიროა რომ გამოცვლილი იქმნეს ის ადმინისტრაციული ერთეულები, რომლის ფარგლებში თავსდება რუსეთში ერობა—გუბერნია და მაზრა. მაზრა და გუბერნია მათის აზრით ეკონომიურად და ეროვნულად ერთფეროვან რამეს არ წარმოადგენს და ამისათვის უმჯობესი იქმნება რომ ამათ მაგიერ ერობა აშენდეს სხვა „რაიონებზედ“—აგრონომიულ რაიონებზედ, ან „უჩასტკებზედ“. ამგვარად სომხებმა მორცხვად გამოსთქვეს თავისი სურვილი—კავკასია ხელ-ახლად გადავმიჯნოთ ადმინისტრატიულად ისე, რომ სომეხთა მოსახლეობამ თავი მოიყაროს და ისე გაბნეული არ იყოს სხვა და სხვა მაზრებსა და გუბერნიებში, როგორც ეხლაო. ეს რომ მოხდება, ერობაც ასეთს ერთეულებზედ ავაშენოთო. ჩვენმა მეზობლებმა ასეთი სურვილები წინანდელ მეფის ნაცვლის ვარანცოვ-დაშკოვის დროს უფრო გაბედულად გამოხატეს. მაშინ ამის შესახებ მთავრობას პროექტებიც კი შეადგენინეს და პრესაშიც მოითხოვდენ — თბილისის გუბერნიას სამი მაზრა—ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს ჩამოსჭერით და ერევნის გუბერნიას მიაკერეთო. ეხლანდელ თათბირზედ სომხებს ასეთი რამ აღარ მოუთხოვიათ, ხოლო მაზრების რაიონებათ დანაწილებას და ასეთი რაიონებიდან ოლქების შედგენას აუცილებელ საჭიროებათ კი აღიარებდნენ. სომხების ასეთი სურვილი დასაბუთებული და სამართლიანიც რომ ყოფილიყო, მისი მიღება მოასწავებდა ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღების საქმის დიდი ხნით დასამარებას და ამის გამო სომეხთა წარმომადგენელნი განმარტოებული დარჩენ. სომეხთა უმცირესობამ დიდი იერიში მიიტანა აგრეთვე საერობო კანონზედ ცენზის საკითხში. რუსეთის ერობაში გაბატონებულია მემამულეები. ვისაც დიდი უძრავი ქონება არ მოეპოება, საარჩევნო უფლებას მოკლებულია. ასე რომ ვაჭარ მრეწველნი, ვისაც ქონება არ მოეპოება, ერობას გარეშე რჩებიან. რასაკვირველია ასეთი მოვლენის წინააღმდეგ ბევრი რამ ითქმება, მაგრამ ცხადი იყო, რომ სომეხთა წარმომადგენლების სურვილი იყო, რომ მომავალ ერობაშიც ისეთი უმრავლესობა მოეპოებინათ, როგორც ეხლა აქვთ თბილისის და სხვა ჩვენ ქალაქების თვითმმართველობებში და ამიტომ იყო, რომ ისინი დიდის ამბით იცავდენ ვაჭრების სრულ უფლებიანობას მომავალ ერობაში. თათბირის დიდი უმრავლესობა ისევ რუსეთში მომქმედ საერობო კანონზედ შეჩერდა და მასში შეიტანა შესწორება იმ მხრივ, რომ საარჩევნო ცენზი რაც შეიძლება დაკლებული ყოფილიყო. ამის საპასუხოთ სომხების წარმომადგენლებმა განგაში ასტეხეს და რუსეთის გაზეთებს შესჩივლეს—ქართველი თავად-აზნაურობა და თათრების ბეგები შეთანხმდენ ჩვენს წინააღმდეგ და ერობაში ადგილს აღარ გვაძლევენო. ამ ჩივილს რუსეთის პრესა გამოეხმაურა—თათბირზედ 1890 წლის საერობო კანონი მიიღეს და მით მომავალ ერობაში სომხობა, როგორც ყველაზედ უფრო კულტურული ძალა, გარიყული იქნებაო. სომხური გაზეთები, უფრო გულახდილად სწერენ—ჩვენთვის სჯობია, რომ ერობა სულ არ იქმნესო. ეს გასაგებია. ერობა შეაკავშირებს ჩვენი სოფლის სუსტ ძალებს, აამოქმედებს და აამოძრავებს მას. ქონებრივად და გონებრივად მოაღონიერებს ჩვენს ქვეყანას და ეს, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ იქნება იმ „კულტურულ“ ელემენტებისთვის, რომელნიც სოფლის სიბნელით და უმეცრებით იკვებებიან. ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილს და მოკალათებულ სომხობას, (ჩვენ სახეში გვყავს შემოხიზნული სომხები და არა ქართველი გრიგორიანები) ჩვენი ხალხის გათვითცნობიერება და ამოქმედება სასიამოვნოდ არ ურჩება. საერობო თათბირზედ ყოფილა კიდევ მეორე ნაირი უმცირესობა. მას იქ ერთი ან შეიძლება ორი კაცი წარმოადგენდა, ეხლა ამ უმცირესობის განგაში „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზედ სწარმოებს. ესენი ხესთანაც რომ მიიყვანოთ იმასაც მტკიცებას დაუწყებენ მჩაგვრელად და მყვლეფელად ხარ გაჩენილიო. არ არის საკვირველი, რომ მათ ეს თათბირიც გამოიყენეს, ქვეყანაზედ გამეფებულ ჩაგვრა-უთანასწორობაზედ საწერ მასალად. ამას ჩვენში ყველა მიეჩვია და არც ვინმე აქცევს მას ყურადღებას. სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ ეს მეორე უმცირესობა სავსებით იმეორებს სომხების სიტყვებს შესახებ ქართველ თავადების და მუსულმანების ბეგების შეთანხმებისა „დემოკრატიის“ წინააღმდეგ, რაც სომეხთა სიტყვებს უცხოთა თვალში ფასს აძლევს, და მათ ფარულ განზრახვებს ძალას ჰმატებს.

ამ გვარად საერობო თათბირის უმრავლესობამ რუსეთში მომქმედი საერობო კანონი მიიღო მცირეოდენი ცვლილებით. უმცირესობა ამას არ დაეთანხმა, ვინაიდან ეს დემოკრატიული მოძღვრების ღალატად მიიჩნია. სომხური გაზეთები ასეთ ერობას უერობობას არჩევენ. მათ ისეთი ერობა უნდოდათ, რომელიც სომხობას მთელს კავკასიაში გაბატონებდა ისე, როგორც იგი ჩვენს ქალაქებშია გაბატონებული. ასე რომ იმ მცირედი რამეს განხორციელებასაც, რაც თათბირმა მიიღო, ბევრი დაბრკოლება გადაეღობება. თბილისის სომხურ გაზეთებს რუსულ ლიბერალურმა გაზეთებმაც მხარი დაუჭირეს და ასტეხეს განგაში კავკასიაში „ყველაზედ უფრო კულტურულან“ ერის ინტერესების დაჩაგვრის შესახებ. ასეა თუ ისე, თუ მოკლე მომავალში ჩვენს ქვეყანას ერობა ეღირსა, ის დაახლოვებით ისეთივე იქმნება, როგორიცაა რუსეთის ერობა.

2. თვითმართველობა.

საზოგადოებრივ საჭიროებაზედ მზრუნველობა თანამედროვე სახელმწიფოებში სახელმწიფოს ხელშია. ხალხის სწავლა-განათლების, ჯანმრთელობის, მშვიდობიანობისა და სხვა ასეთი საჭიროების დაკმაყოფილებას სახელმწიფოებრივი დაწესებულებები განაგებენ. ამისთვის სახელმწიფო აარსებს სხვა და სხვა სპეციალ დაწესებულებას —სწავლა-განათლების, მიმოსვლისა თუ ჯანმრთელობის სამინისტროებს და სხვა. სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა მოწინავე ერები, რომ ცენტრალი დაწესებულებების მოხელეები ვერ უწევენ შესაფერ მზრუნველობას მრავალ ადგილობრივ საჭიროებას. ვთქვათ მოხელე, მაზრაში მეთაურობს სწავლა-განათლების საქმეს. მისთვის უცხოა ადგილობრივი ცხოვრება და მისი საჭიროებანი. ამასთანავე, თუ ის მას გაეცნობა და შეეთვისება, შესაძლოა ის სხვაგან გადაიყვანონ და მის მაგივრად კიდევ უცხო ვინმე მოიყვანონ. ასეთი მაგალითებიც ნათლად გვიმტკიცებს, თუ რამდენად საძნელოა, რომ ცენტრალმა დაწესებულებებმა სახელმწიფოს ყველა მივარდნილ კუთხეს შესაფერისი მზრუნველობა აღმოუჩინოს. ეს შეიგნეს მოწინავე ქვეყნებში და გადაწყვიტეს სახელმწიფოს ზოგიერთი, ადგილობრივი და არა საერთო ხასიათის, ფუნქციები ცენტრალი დაწესებულებისთვის ჩამოერთმიათ და ადგილობრივ საზოგადოების მიერ ამორჩეულ პირებისთვის გადაეცათ. ამგვარად წარმოიშვა თვითმართველობები, რომელნიც ადგილობრივ ხასიათის სახელმწიფოებრივ საქმეებს აწარმოებენ საზოგადოების არჩეულ პირთა შემწეობით. დაბალი სასამართლო, მშვიდობიანობის დაცვა (პოლიცია), სახალხო სწავლა-განათლება, ხალხის ჯანმრთელობა, გზების საკითხი და სხ. ევროპის ყველა სახელმწიფოებში ან სავსებით ხალხის მიერ არჩეულ პირთა ხელშია, ან მთავრობის მიერ დაყენებულ მოხელეების და არჩეულ პირთა თანამშრომლობით და შეთანხმებით...

რუსეთში ეს ადგილობრივი მმართველობა ერთი ორგანიზაციის ხელში არ არის. მშვიდობიანობის დაცვა და სხვა სპეციალი აღმსრულებითი დაგალებანი ადგილობრივ ადმინისტრაციას აქვს დაკისრებული. თვითმართველობის ხასიათისაა მხოლოდ ორი დაწესებულება—საქალაქო თვითმართველობა და საერობო თვითმართველობა. საქალაქო თვითმართველობა მხოლოდ ქალაქების შინაურ ცხოვრებას აწესრიგებს. ერობა კი უფრო ფართო ხასიათისაა. ის ეხება მთელ ადმინისტრატიულ ერთეულებს—მაზრებს, გუბერნიებს და მასში შედის ქალაქებიც.

ა—ი.

(შემდეგი იქნება)

კავშირებული და შეერთებულ შტატებისაგან საკმაო დახმარებას იღებდა. „სამოქალაქო მილიცია“ ირლანდიელ სატრანსპორტო მუშებისგან შესდგებოდა; ამ მილიციამ 1913 წელს ჯემს ლარკინის მეთაურობით გაფიცვა მოახდინა. როდესაც ლარკინი შეერთებულ შტატებში წავიდა, მისი ადგილი ჯემს კონოლიმ დაიჭირა. ბოლო ხანებში „სამოქალაქო მილიციის“ ხელმძღვანელები ირლანდიელ მოხალისეებთან და „რესპუბლიკის ძმობასთან“ მეტად კარგ განწყობილებაში იყვნენ. უკანასკნელთა შორის რამდენიმე ანარქიულ შეთქმულობის გამო გაასამართლეს და ახლა ძალიან ფხიზლად მოქმედობდნენ. ისინი შეადგენდნენ იმ ცენტრს, სადაც ამბოხების გეგმა შემუშავდა. („დენ“)

გრძოლის ველზე

საზღვაო ბრძოლა.

18 მაისს ჩრდილოეთის ზღვაში იუტლანდიის ნაპირებთან მოხდა გერმანელთა და ინგლისელთა სამხედრო ფლოტის შეტაკება. ბრძოლამ 19 მაისამდე გასტანა. ზარალი ორთავე მხარეს დიდი მოუვიდათ. რამდენი რა დაეღუპათ გერმანელებს, ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, რაც შეეხება ინგლისისას, ოფიციალ ცნობების მიხედვით ის ვიცით, რომ ხუთი ჯავშნიანი კრეისერი, მძიმე თუ სუბუქი, დაღუპულია, კონტრ-ნაღმოსნებიდანაც ხუთია ნამსხვერპლი. დიდ გემებიდან დაზიანებულთა შორის ყველაზე საგრძნობლად დაშავებულა „ურიორი“. ამის გარდა ჯერ დანამდვილებით ცნობა არ მოსულა ექვსი გემის შესახებ. ბედი მათი საეჭვოა. შესაძლებელია ესენიც დაიღუპნენ.

ასეთ თამამი ნაბიჯის გადასდგმელად გერმანელები აიძულა აუწერელმა გარემოებამ. როგორც ინგლისური პრესის ხმა მოისმის ჩვენამდე, გერმანეთის ფლოტს განზრახვა ჰქონია ინგლისის ფლოტის შემუსვრა, რათა თავის სავაჭრო გემებისთვის გაეხსნა თავისუფალი გზა. მაგრამ გერმანელებმა ეს ვერ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაშიაც მათ ვერაგული გზა აირჩიეს, გემები უჩინარ ფერებით შეჰღებეს, ასე რომ ინგლისელებს ხელი შეუშალეს ამონიშვნაში, მათი დღეანდელი გამარჯვება ფაქტიურად მარცხს უდრის, რადგანაც „ტაიმსის“ თქმისა არ იყოს, რაღაა ისეთი გამარჯვება, თუ კი მებრძოლი ბრძოლას გაექცევა და შიშით ნავთსადგურს მიაშურებს დასამალავად?! ინგლისის მამაცურმა თავგანწირულობამ ერთხელ და უკანასკნელად ცხად ჰყო თუ გერმანელნი რაოდენ უძლურნი არიან ზღვაზე, როგორ ოცნებად დარჩებათ განზრახვა დიდ ოკეანეში თავისუფალი გზა ჩაიგდონ, რომ ერთხელ მაინც თავისუფლად ამოისუნთქონ. „საზღვაო ბრძოლა“,—დავათავეთო ინგლისურ ერთ-ერთ გაზეთის სიტყვებით—მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გამარჯვებად თუ სავაჭრო გემებს ნავთსადგურის კარი გაეხსნებათ. სამხედრო გემების უკუქცევას და ნავთსადგურში შემალვას გამარჯვება არ ეწოდება“!

X.

თბილისი, 24 მაისი.

ბევრს რამეს სწერ-ბოროტი ენანი დნენ და ყიყინობდნენ **კავკასიის ერთა უთანხმოების შესახებ**, კიდევ ბევრს რამეს დასწერენ და იყიყინებენ, მაგრამ რომ ვინმემ რეალი საშუალება გამონახოს „უთანხმოების“ მოსასპობლად, ამისი კი რა მოგახსენოთ. ყველა ეს „ბევრი რამ“ თქმული და ნაყიყინევი კავკასიელ ერთა წყლულებს არასოდეს მკურნავ მალამოდ არ გამოსდგომია. პირიქით, ხშირად ამით უარყოფით შედეგისთვის მიუღწევიათ, შესაძლებელია იმიტომ კი არა, რომ ეს მათ ასე ჰსურდათ, არამედ იმიტომ, რომ ყველა ეს ბოროტი ენა ჰფიქრობს და ამბობს, სწერს და ყიყინობს სწორედ იმის შესახებ, რაზეც ოდნავი წარმოდგენა არა აქვს, ან და რაც ყურმოკრულად გაუგონია, ან და შესაძლებელია ცალმხრივ ცბობებს დამყარებია. ასეთს შემთხვევაში მაშუამავლის მოსამართლედ გამოსვლა საქმის ვითარებისთვის ყოველთვის enfant terrible-ის როლში გამოსვლას უდრის და სრული დუმილი და ჩამოშორება უფრო სასურველია, ვიდრე ხმის ამოღებით საქმის წახდენა, გაფუჭება.

და მართლაც: ჩვენ არ შეგვიძლიან რუსულ პრესას საყვედურით არ მივმართოთ ასეთ ცალმხრივ და საქმის უცოდინარობის დროს სხვის საქმეში გარევა. ჩვენ არას ვამბობთ, რომ თვით მოწინავე ინტელიგენცია, რომლისათვისაც ბუშმენთა ცხოვრება საკმაოდ გამორკვეულია, ჩვენ რატომ **არ** გვიცნობს თუნდა ამ ერთი საუკუნის დამოყვრების შემდეგაო. არა, ეს საყვედური სხვა დროისთვის იყოს, მაგრამ ის, რომ ჩვენს სულის უბეში ტლანქად ხელს აფათურებენ და უკეთილშობილეს გრძნობებს გვილახავენ, აქ კი საზღვარი უნდა დაედოს მათს კადნიერებას და ერთხელ და უკანასკნელად ეთქვას: კმარაო! მაშ რა ვთქვათ, ან კადნიერებად ვითარ მოინათლოს, ვთქვათ, რუსული პრესის უკანასკნელი გამოლაშქრება კავკასიაში ერობის საკითხის შესახებ ქართველთა წინააღმდეგ? ჩვენ ქართველებს გვისაყვედურებენ იმას, რაც უმაღლეს მთავრობამ კეთილ ინება და საჭიროდ სცნო უმთავრეს საფუძვლებად მოეცა ჩვენი მომავალი მუშაობისთვის. რა შუაშია მაშ აქ ქართველი ერი? ჩვენ ხომ ძალად არავის არასფერს ვახვევთ. ეს მთავრობის სურვილია, თორემ მოვახსენებთ რუსულ პრესას, რომ ქართველთა იდეალს **არავითარი 90 წლის ერობის შემოღება** არ შეადგენს, ჩვენი იდეალები იქნებ უფრო ფართოა, ვიდრე ის ასე მოსჩანს დღეს. რუსული პრესა, „რუსკ. ვედ.“, „რეჩი“, „ნოვ. ვრემია“ და tutti quanti რაღაცა ბნელ მოსაზრებით მუდამ ხაზს უსვამენ ქართველ-თათართა შეერთებას, ვითომც ისეთ „დემოკრატიულ“ ელემენტთა დასამარცხებლად, როგორც სომხობა გახლავან! სასაცილოა ასეთი ლოგიკა, საქმის ასეთი უცოდინრობა! წამდაუწუმ განმეორება იმისი, ვითომც ჩვენსა და თათრების შორის **რაღაც** განსაკუთრებული ბლოკია, შესაძლებელია სომეხთა ერთგვარ „ბართლომეს“ ღამის გასათევებლად, ეს ბოროტ ენათა პროვოკაციაა და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში სომხებს და მით უმეტეს რუსებს აღსაშფოთებელი არა აქვსთარა. ჯერ ჩვენის მხრით არავითარი საეჭვო შეიარაღება არ მომხდარა და ევროპიც ჩვენი ეპისკოპოსი არ ყოფილა, რომ დაჭერილი და აწ უკვე ჩამორთმეული იარაღი ქართველთა რაიმე საეჭვო სამზადისად ჩაგვთვალა, სხვაფრივაც თუ რა „ერის მოძულეობა“ და „კაც-ჭამიობა“ აღფრთოვანებს ქართველ ხალხს, ეს უწყის რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიამ, როდესაც თათარ-სომეხთა შეტაკების დროს ადგილობრივ მთავრობას ესე რიგად შეუწყეს ხელი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. მაშ რას გვიკიჟინებენ? რას გვაბრალებენ? ან ტ მართალია ის, რომ **მარტო** „ქართველ-თათრები“ შეერთდით? აბა გავისარჯოთ, ზეპირსიტყვაობას დავძალოთ თავი, თვალი გადავავლოთ სხდომების ანგარიშებს, იქნებ „თათარ-ქართველთა“ გვერდით თვითონ რუსებიც დავინახოთ! მაგრამ არა, ფაქტების დაკვირვებით ხომ რუსული პრესა განთავისუფლდება ფანტაზიიდან და მერე რაღა ეშველებათ ამდენ ჟურნალ-გაზეთობას!

ასეა თუ ისე, ქართველი ერი გულდაწყვეტით იქნება დღეიდან რუსეთის პრესის შესახებ. ჩვენ მას არას ვავალებთ, მაგრამ ერთს რამეს მოვითხოვთ კი: ჩამოგვეცალონ, საუკუნოებით გვიცხოვრია ჩვენს მეზობლებთან, ბევრი გვიკამათნია, შეიძლება გვიცემგვიტყეპნია კიდეც, მაგრამ მაინც მორიგებულვართ და ჩვენი თავისთვის ჩვენვე მოგვიელია. დასასრულ მთავარ მართებელმა და ადგილობრივმა მთავრობის გამგეობამ უკედ უწყის, თუ ვინა ვართ ქართველები, რა ურთიერთობაა ჩვენსა და ჩვენს მეზობლების შუა და რად ვემყარებით დროებით ერობის იმ საფუძვლებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება გვიკარნახა მათმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ დიდმა მთავარმა.

—

ღღეს „საქართველოს“ წლის თავზე. ღღეს „საქართველოს“ წლის თავია. შარშან 24 მაისს იგი პირველად გამოვიდა. ვისაც ხასიათი შესწევს მიუდგომლად გადაჰხედოს „საქართველოს“ ამ ერთი წლის არსებობას, ეგი შეამჩნევს რომ გაზეთი და მისი გავლენა ერთი-ორად და ერთი სამად გაიზარდა განვლილ დროსთან შედარებით. გადამეტებული და უმართებულო იქნებოდა რომ გვეთქვა, გაზეთის ასეთი სწრაფი წარმატება მის ღირსებით აიხსნებაო. სიმართლის შესავსებად და ამ მოვლენის გასაგებად უნდა ითქვას, რომ საქართველოში დიდი იყო ფსიხოლოგიური წყურვილი იმგვარი მიმართულებისა, რომელსაც გაზეთი „საქართველო“ დაადგა.

ამ წინასწარმა წყურვილმა „საქართველოს“ გაუადვილა „სიძნელე გზისა“ და ააცილა მძიმე და ძნელი წინსვლა. ამ გარემოებამ უვნებელი გაჰხადა ნაკლი, რომელსაც სხვებზე უკეთ ისევ ჩვენ ვამჩნევდით ჩვენს ახალ ორგანოს და რომელსაც შეძლების ფარგალში თანდათან ვავსებდით კიდეც. ყოველგვარი დაბრკოლება იძლივა, რა ერთმანეთს შეეწყო ტ შეეხმატკბილა ახალი ორგანოს მთავარი ჰანგები, და ჩვენი ქვეყნის ნამდვილი შემოქმედი ძალების ინტერესი. ამ ორი გარემოების კეთილ-შეწყობამ შეჰქმნა ის ვითარება, რომ ახალი გაზეთი ერთი წლის თავზე გვერდში ამოუდგა იმ მიმართულებათა გამოცემებს, რომელნიც ჩვენში 15 წელიწადია იდეიურად და ორგანიზაციულად მოქმედებენ და რომელნიც თანაბარის პრინციპიულის შეურიგებლობით, ხოლო სხვა და სხვა ზნითა და ტაქტიკით, ებრძვიან „საქართველო“-ს მის გამოსვლის პირველ დღიდანვე. ამ მოვლენაზე მიუთითებდით იმ მოუთმენელ მოპირდაპირეთ, რომელნიც ჩვენს „მომავალს“ მხოლოდ „საფლავში“ ჰხედავდნენ, ან რომელნიც ექვსი კვირიდან სამი თვის სიცოცხლის უფლებას გვაძლევდენ.

ჩვენ არ გვიკვირს რომ „საქართველოს“ თანამოაზრეთა, მიმდევართა და მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ეს ასეც უნდა იყვეს. ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ერის ეკონომიური აღორძინება და ამასთან დაკავშირებული მისი პოლიტიკურ-კულტურული სიმკვიდრეც აეგება მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველზე, რომელიც „საქართველომ“ წამოაყენა. ესა გვწამს და ამ რწმენით ყველა ჩვენ თანამოაზრესთან ერთად იმედიანად გადავდივართ ჩვენი მუშაობის მეორე წელიწადში.

დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე მდ. დვინის მიდამოებში გერმანელებმა სასტიკი სროლა ასტეხეს; ამავე ადგილებშა მფრინავებიც მოქმედობენ.

—

კავკასიის ასპარეზზე ერზინჯანის მიმართულებით ოსმალებს იერიშები მოაქვთ.

—

იტალიის ასპარეზზე, ადიჯესა და ბრენტოს შუა, ბრძოლა მკაცრ ხასიათს იღებს. ლაგარინოს ველზედაც გამწვავებული საარტილერიო ბრძოლაა.

—

შამპანში გერმანელთ რაზმებმა წინ წაიწიეს, მაგრამ ფრანგებმა მკაცრი კონტრ-იერიშით უკუ-აგდეს.

—

„304“ მაღლობს და მეორე ხაზის სიმაგრეებს გერმანელები ზარბაზნებს უშენენ...

—

იპრ-კომინის რკინის გზით გერმანელებმა იერიში მიიტანეს. შუადღისას ამ ადგილებში გერმანელებმა წინ წაიწიეს. ბრძოლა გრძელდება.

—

არასსა და სომს შუა საარტილერიო ბრძოლაა.

—

ჩრდილოეთ ზღვაზე 18—19 მაისს გერმანელთა და ინგლისელთა შორის ზღვაზე დიდი ბრძოლა მოხდა, რომელიც დღე და ღამე გაგრძელდა. დაწვრილებითი ცნობა არ არის მიღებული.

—

მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ, ათინის კაბინეთს გულისწყრომა გამოუცხადონ, რადგანაც ჰფიქრობენ, რომ ბულგარელთა მიერ სიმაგრეების დაპყრობა სკულუდისის თანხმობით მოხდაო.

თ-დი ალ. სუმბათაშვილი „ძმურ ნუგეშში“

22 მაისს ღამის $12^1/_2$ საათზე თ-დი ალექსანდრე სუმბათაშვილი „ძმურ ნუგეშში“ ბრძანდებოდა ცნობილ არტისტ ქალ ა. ა. ლევშინასა და სხვა არტისტებთან ერთად. ძმურ ნუგეშში ამ დროს აუარებელ ქართველობას მოეყარა თავი. ძვირფას სტუმარს საზოგადოება ტაშით მიესალმა. ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნ განდეგილმა შემდეგის სიტყვებით მიმართა:

„თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება სულით და გულით მიესალმება ძვირფას სტუმარს. გული მიკვდება, თავადო, რომ სტუმარს გეძახით. თქვენ ყოველ ქართულ დაწესებულებაში და ყველა ქართველის გულში მკვიდრი ბინა გაქვთ, როგორც სასიქადულო მამულიშვილს. ღმერთსა ვსთხოვ სიტყვა „სტუმრობა“ „მასპინძლობად“ შეცვლილიყოს. ჩვენ ვამაყობთ თქვენით და სიხარულით აღსავსე გულით გეგებებით. ხანგრძლივ იყოს თქვენი სიცოცხლე და კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება“. ამ სიტყვებზე აღელვებული სახით მადლობა მოიხადა თავადმა სუმბათაშვილმა და საგანგებოდ მომზადებული საპატიო ადგილი დაიჭირა. „ძმურ ნუგეშის“ გამგემ ქ-მა განდეგილმა თავადს გააცნო საპატიო მანდილოსანნი და საპატიო მსახურნი ქალნი. ძვირფასმა სტუმარმა გამოჰკითხა გამგეს დაწვრილებით საქმის მდგომარეობა ამ დაწესებულებისა და ტკბილ მუსაიფში გაუზიარა თავისი გულის ზრახვანი სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ბ. ლეჟავამ პიანინოზე დამღერებით სტუმრის ყურთა სმენა დაატკბო რამდენიმე ქართულ რომანსით, ბ-ნ ვალ. გუნიამ სვხათა შორის მოახსენა თ-დ სუმბათაშვილს, რომ ქ-ნ განდეგილს გრიბოდოევის უკვდავი ნაწარმოები აქვს ნათარგმნი ქართულ ენაზე, რამაც ძალიან ასიამოვნა სტუმარი. დიდათ ნასიამოვნებმა ძვირფას სტუმარმა დაჰყო „ძმურ ნუგეშში“ ორ საათ ნახევარს და ღამის 3 საათზე წაბრძანდა.

დეპეშა

(საკუთარი კორესპ.)

ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად, დიდი ხმის უმეტესობით, აირჩიეს თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე.

მაკაველი.

ახალი ამბავი

სასახლეში. მეფის ნაცვალს წარუდგა სადარბმზოდ თბილისის კონსულად ახლად დანიშნული მირზა მეხტი-ხან მოქარ რომად დავლე.

თბილისის დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის უავგუსტოესი მფარველის დიდი მთავარ ნიკოლოზის ასულის ანასტასიას სურვილით ივნისის პირველს თაიროვის ბაღში (მიხაილ. ქუჩა № 66) გაიმართება პირველად თბილისში Garden Party სასწავლებლის ღარიბ-მოწიფეთა სასარგებლოდ. საღამოს პასუხისმგებელი გამგე—გოფმეისტერ მ. გ. კრუპენსკის მეუღლე ბრძანდება.

ბანკის რწმუნებულთა კრება. 22 მაისს დაიწყო თბილისს სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნ. ი. ნიკოლაძე. კრებამ განიხილა და დაამტკიცა ანგარიში 1915 წლისა, ხარჯთ აღრიცხვა მიმდინარე 1916 წლისა და უნდა აირჩიოს ბანკის თავმჯდომარე და 1 დირექტორი ნაცვლად უგ. თავ. მ. ა. გრუზინსკისა და თავ. დ. ა. ფავლენიშვილისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

კრებამ მოისმინა ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება შესახებს ანგარიშისა და შემდეგ შეუდგა თვით ანგარიშის განხილვას. ბანკის საანგარიშო წლის ბალანსი უდრის 61.777.555 მან. 68 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია ბანკს 582.462 მან. 27 კაპ.

კრების სხდომები რამდენიმე დღეს გასტანს, რადგან ზემო აღნიშნულ საგნების გარდა, კიდევ რამდენიმე მოხსენებაა განსახილველი.

დიდმა სახალხო სეირნობამ ლატარია-ალეგრით, რომელიც 22 მაისს გაიმართა „ახალ კლუბის“ ბაღში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქონებრივ ღონისძიებათა გასადიდებლად, კარგად ჩაიარა. ბაღს დიდძალი საზოგადოება მიაწყდა. უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი. ხალხი ნაშუაღამევის 3 საათზე დაიშალა დიდად ნასიამოვნები. შემოსავალ-გასავლის ჯამი გუშინ დილით სავსებით არ იყო შედგენილი, მაგრამ როგორც საქმის ხელმძღვანელნი ფიქრობენ, საერთო შემოსავალი 3.600 მანეთამდე უნდა იყვეს. ხარჯს თუ ჩავაგდებთ 600 მანეთამდე, საზოგადოებას დარჩება წმინდა 3.000 მანეთამდე.

საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ისტორის შესახებ ბ-ნ ქრ. კაპანაძემ კვირას 22 მაისს ახალ კლუბის დარბაზში წაიკითხა ლექცია. ლექციას დაესწრნენ ყოვლად სამღვდელო ანტონი ეპ. გორისა, თბ. ქართველი სამღვდელოება და მრავალი მსმენელი. ლექცია ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილში მოიხსენია საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ისტორია, ხოლო მეორე ნაწილში ლექტორი შეეხო ავტოკეფალურ ეკლესიის გაუქმებას და ჩვენი ეკლესიის ეხლანდელ მდგომარეობას. ლექცია საგულისხმიერო აღმოჩნდა. მსმენელთ ბ-ნი კაპანაძე ტაშით დაჯილდოვეს.

სახალხო მასწავლებელთა საზოგადოება. ამ საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს დეპეშა მოუვიდა პეტროგრადის უმაღლეს კურსების პროფესორ და ცნობილ ლექტორ ბ-ნ ს. ზალატარიოვისაგან. პროფესორი იწერება, რომ 5 თიბათვეს უთუოდ ვიქნები თბილისში, რათა დავესწრო მასწავლებელთა საზოგადოების დამფუძნებელ კრებას და მოხსენება წავიკითხო მასწავლებელთა ორგანიზაციების კავშირის დაარსების საჭიროების შესახებო. ბ-ნი ზალატარიოვი 7 თიბათვემდე დარჩება თბილისში და ამ ხნის განმავლობაში ის აგრეთვე ლექციასაც წაიკითხავს.

საორგანიზაციო ბიუროს თბილისის გუბერნიის ყველა კუთხის მასწავლებლებიდან მოსდის წერილები, რომელშიაც ისინი სურვილს გამოსთქვამენ საზოგადოებაში წევრად შესვლის შესახებ.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ხსნის ბათომში თავშესაფარს ლტოლვილთა ბავშვებისთვის. თავშესაფარი ნავარაუდევია 50 ბავშვზე. საქმის გასაცნობად ამ დღეებში ბათომს მიემგზავრება ბ-ნი გ. ცინცაძე.

— საქვ.-მოქმ. საზოგადოების გამგეობამ 200 მანეთი გაუგზავნა მეჯვრისხევის ქალთა საზოგადოების საქსოვ სახელოსნოს საჭიროებისათვის.

— ლოზანელ ქართველებისაგან, რომელთაც 200 მანეთი გაუგზავნა ამ საზოგადოების გამგეობამ დასახმარებლად, ვრცელი მადლობის წერილი მიიღო

ვაზის წამალი. გუშინ, 23 მაისს, მეფის ნაცვლის კანცელარიამ ტელეფონით აცნობა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ როგორც მოსკოვის სახალხო ბანკი იტყობინება, მოსკოვიდან უკვე გამოსულა შაბიამანი და გოგირდი კახეთის მევენახეთათვის.

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგენი ბ-ნნი დარჩია და კახელაძე იყვნენ ქალაქის გამგეობის წევრთან ბ-ნ ჯაბართან და შაქრის მოპოვების შესახებ ესაუბრნენ. ჯაბარმა აღუთქვა მათ შაქარი, რომელსაც ისინი გაუნაწილებენ კავშირის წევრებს. თავისის მხრივ გამგეებმა უნდა წარუდგინონ ჯაბარს კავშირის მონაწილეთა სია. ბ-ნი ჯაბარი ამასთანავე შეეკითხა ბ-ნ კახელაძეს და დარჩიას, შეუძლიანთ თუ არა სოფლის კოოპერატივებს მიაწოდონ ქალაქთა კავშირს სოფლის ნაწარმოებიო. კახელაძემ და დარჩიამ აღუთქვეს ამ საგნის შესახებ ცნობების შეკრება.

ახალი საზოგადოება. გუბერნატორს დაუმტკიცებია წესდება ახალი საზოგადოების „იმედისა“, რომელსაც მიზნად აქვს დახმარება აღმოუჩინოს ქართველ ახალგაზდობას. ამ მიზნისათვის სახსარის მოსაპოვებლად საზოგადოება გახსნის ჯერ-ჯერობით სასადილოს, ხოლო ამ სასადილოს გამართვისათვის საკმაო ფულის შესაგროვებლად საზოგადოება 7 თიბათვეს სეირნობის გამართვას აპირებს.

ახალი საზოგადოება. ხვალ 25 მაისს „ახალ კლუბის“ დარბაზში დანიშნულია პირველი საორგანიზაციო კრება ერთი ჯგუფისა, რომელსაც განზრახული აქვს დუშეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსება.

სამოსწავლო ოლქის უფროსი ნ. ფ. რუდოლფი პეტროგრადს გაემგზავრა, როგორც რწმუნებული მეფის ნაცვლისა სახელმწ. სათათბიროს იმ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც თბ. პოლიტეხნიკუმის დაარსების საკითხი უნდა იქმნეს განხილული.

ვაჭართა მამასახლისის არჩევები, ნაცვლად ა. ნ. მილოვისა, რომელიც კვირას, 12 მაისს უნდა მომხდარიყო, არ შესდგა.

სახ. სამ. საზ. საზოგადო კრება 21 მაისს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება შესდგა. თავმჯდომარეობდა პრეზიდენტი საზოგადოებისა თავ მ. ა. სუმბათაშვილი. კრებამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა. შემოსავალი საზოგადოებისა ნავარაუდევია 49.669 მან. 48 კ. და ამდენივე გასავალი. საბაღოსნო სკოლის ფინანსიურმა მდგომარეობამ ერთობ ჩააფიქრა კრება. ამ სკოლის შემოსავალი არ აღემატება წლეულს 25.011 მან. 10 კაპ. ხარჯები-კი აუცილებლად იქნება არა უმცირეს 39.572 მან. 43 კაპ. ამ რიგად სკოლას დეფიციტი ექნება 14.561 მან. 33 კ. კრებაზე კამათი ატყდა იმის შესახებ, თუ რა წყაროებიდან დაიფაროს ეს ზედმეტი ხარჯი. ბოლოს კრებამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ აღნიშნული დეფიციტი დაიფაროს 7—8 ათას მანეთამდე საზოგადოების საოპერაციო ბიუროს (გოგირდისა, სხვა და სხვა მანქანებისა და იარაღების გაყიდვა და სხ.) მოსალოდნელ შემოსავლიდან, ხოლო დანარჩენ ხარჯების დასაფარავად ფული ეთხოვოს მეფის ნაცვლის საბჭოს საერობო თანხიდან და აგრეთვე მიწადმოქმედების დეპარტამენტს.

„ზ. რ.“-ში მოთავსებული იყო ცნობა, **ვითომც ძმათა ფორაქიშვილის საფართლო მაღაზიაში შაბიამანს ჰყიდდნენ.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია და ზემოხსენებული რედაქცია შეცდომაში შეუყვანიათ.

შიო მღვიმელის დილა. 22 მაისს ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში ხელმეორედ გაიმართა დილა შიო მღვიმელის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ნაშუადღევის 1 საათზე დარბაზი უკვე სავსე იყო ხალხით. ამ დილას უფრო ბავშვების დღესასწაული უნდა ეწოდოს, რადგან მომქმედი პირები თითქმის სულ ბავშვები იყვნენ: 1) ბავშვებმა სიმღერით გამოიყვანეს დარბაზში შიო; 2) ბავშვებმა მიულოცეს შიოს; 3) ბავშვებმა თქვეს ლექსები და პიანინოზე დაუკრეს; 4) გაიმართა აპოთეოზი, რომელშიაც ბავშვები შიოს გარს ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ. ყველა განყოფილებამ კარგად ჩაიარა. აგრეთვე კარგად იყო დადგმული ცოცხალი სურათები: ა) შიოს ლექსიდან „დედა“ სახალხო იავნანას სიმღეროით, ბ) 4 სურათი მისივე ლექსიდან „ობოლი“ და გ) სურათი მისივე ნაწარმოებიდან „ოქროს თავთავი“. დღესასწაული დასრულდა 3 საათ ნახევარზე დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

ქართველ მუსიკოსების საყურადღებოთ. როგორც გადმოგვცემს ჟურნალი „რამპა ი ჟიზნ“ (№ 20, 15 მაისი 1916 წ.), თბილისში მოემგზავრება მოსკოვიდან დიდი თეატრის უფროსი დირიჟორი, ვ. მ. სუკი. მას თან ახლდება რეჟისორი აღნიშნულ თეატრისა ბ-ნი კამაროვსკი, რომელიც აქაური მიწა-წყლის შვილი ყოფილა და კავკასიური ენებიც იცის. ბ-ნ სუკს აზრად ჰქონია შეისწავლოს კავკასიის ცხოვრება და სიმღერები და შემდეგ ოპერა დასწეროს კავკასიის ცხოვრებიდან. საჭიროა ჩვენმა მუსიკის მცოდნეებმა შესაფერი დახმარება გაუწიონ მას.

კახეთის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების საზოგადო კრება 5 ივნისსაა დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს რწმუნებულნი გამგეობის ასარჩევად.

დიდი სეირნობა. ოთხშაბათს, 25 მაისს, ალექსანდრეს ბაღში **დიდს სეირნობას** ჰმართავს ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქთან არსებული გონიერ გასართობთა გამმართველი კომისია. შემოსავალი გადაიდება საშუალო სასწავლებელთა ხელმოკლე მოწაფეთა სასარგებლოდ.

სახალხო კონცერტი ავლაბარში. მოკლე ხანში ორი შეერთებული გუნდი მიხ. კავსაძის ლოტბარობით გამართავს კონცერტს „ავლაბარ-პალასში.“ კონცერტი შესდგება 4 განყოფილებისაგან. მონაწილეობს 50 კაცი ეროვნულ ტანსაცმოსით, ნიკოლ. კავსაძე, ვანო უსტიაშვილი (ფანდური) გიგო ბეჟანიშვილი და სხვ.

ვაჩნაძიანი.

10 მაისს, ადამ ღუკაძემ მხარში რევოლვერით დასჭრა თავისი მამა. მიზები გამოურკვეველია.

— ეს რამდენიმე დღეა სწვიმს, საგრძნობლად აცივდა. შაბიამან-გოგირდი როგორც იყო იშოვეს, მაგრამ წამლობა უნაყოფოდ მიდის, რადგანაც წვიმამ ჩამორეცხა. აქა-იქ დასეტყვა კიდეც.

პროფესორ ავალიანის წერილი

„ოდეს. ლისტოკ“-ში მოთავსებულია ვრცელი ღია წერილი პროფესორ ავალიანისა. ოდესის კორესპონდენტი დეპეშით აცნობებს გაზეთ „იუჟნი კრაი“-ს: „ადგილობრივმა პედაგოგმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ავალიანმა „ოდეს. ლისტ.“-ში მოათავსა ვრცელი ღია წერილი მიმართული ხარკოვის უნივერსიტეტის ყოფილ პრივატდოცენტ და ეხლა კი ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორ ტრიფილიევისადმი. ავალიანი ეხლა ითვლება პეტროგდადის უნივერსიტეტის პროფესორად. 1908 წელს ოდესის ფილოლოგიურმა ფაკულტეტმა ავალიანი სცნო ღირსად დოცენტურისა, მაგრამ ოლქის მზრუნველმა შჩერბაკოვმა არ დაამტკიცა. 1915 წელს ავალიანმა ხელმეორედ მიმართა ფაკულტეტს, რომ მას ჰსურს შეევიდეს დოცენტურაში, და რუსულ ისტორიის კათედრაზე. ამასთან ერთად წარადგინა მეცნიერული ნაშრომები. ამ შრომის რეცენზია მიანდვეს ტრიფილიევს, რომლის რეცენზიის გამო, ფა-

კულტეტმა უარი განაცხადა დისერტაციის შეფასებაზე, და თვის უარს ასე ასაბუთებდა: მიუწდომელია დაფასებისათვის ის მასალები, რომელიც ავალიანს მოყვანილი აქვს თავის დისერტაციაში, ვინაიდან მასალები ქართულ ენაზე არისო“, და ფაკულტეტს საშუალება არა აქვს მათი ღირებულება დაფასოსო“. ეხლა ავალიანი ბრალს სდებს ტრიფილიევს, რომ მან უზრდელი, პროფესორისადმი შეუფერებელი და არა კეთილ-სინდისიერი, საბუთებზე დაუმყარებელი რეცენზია უძღვნა მის დისერტაციას, მის რეცენზიაში შეურაცხყო ავალიანის პიროვნება, დისერტაციაში მოყვანილი ფაქტები არ მიიღო და ყალბათ აღიარა ისინი. ტრიფილიევის ასეთ საქციელს ავალიანი პირადს უთანხმოებას აწერს ტრიფილიევთან; ეს უთანხმოება ტრიფილიევისა ავალიანისადმი იმან გამოიწვია, რომ ორივე ერთი და იგივე საგნის პროფესორები არიან; სამეცნიერო შრომის საგანი ორივემ ერთი და იგივე აიღო, ავალიანმა ადესაში და ტრიფილიევმა ხარკოვში. ავალიანის ნაშრომი ამ საგნის შესახებ ბევრად უფრო შინაარსიანი და საყურადღებო აღმოჩნდა, ვიდრე ტრიფილიევისა. ამის გამო ტრიფილიევმა შური იძია, და ოდესაში გადაუხადა ავალიანს მით, რომ არა მეცნიერული რეცენზია უძღვნა ავალიანის დისერტაციას. კორესპონდენტი აცნობს გაზეთს, რომ ავალიანის წერილმა ადესის უნივერსიტეტის ყველა წრეებში დიდი სენსაცია მოახდინაო.

წერილი ხარკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტ.)

აქ მყოფი ქართველი ახალგაზდობა ძლიერ აღაშფოთა გაზეთ „Русскія вѣдомости“-ს № 85-ში ვიღაც П-ს მიერ მოთავსებულმა წერილმა. **გაიგზავნა გაზეთ** День-**ში საპროტესტო წერილი, რომელიც არ დაბეჭდეს.** ქართველთა აღშფოთებამ უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო, როდესაც რუსეთის სხვა პროგრესიულ გაზეთებმაც გამოილაშქრეს ქართველობაზე, ათასნაირი დაუმსახურებელი ცილი დასწამეს მათ, და მოუალერსეს სომხებს. თქვენი კორესპოდენტი ამის გამო გახლდით „Южный край“-ს რედაქციაში; დიდხანს ვებაასე ამ წერილების გამო რედაქციის კოლეგიას. რედაქციის მთელი შემადგენლობა, რომელშიც შედიან ცნობილი პროფესორები გაკვირვებული არიან იმ წერილების გამო, რომლებიც იბეჭდება ამ ბოლო დროს რუსულ გაზეთებში ქართველთა შესახებ. ერთად ერთი გაზეთია მათის აზრით „Южный край“— რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა ქართველა გმობაში, ვინაიდან ისინი იმ ბრალდებებს დაუსაბუთებულათ სცნობენ, და ამბობენ ქართველებს არ დაუმსახურებიათ ესო“. ისინი აღშფოთებულნი არიან იმ წერილების გამო, და ამბობენ: ჩვენ კარგად ვიცით, თუ თანამედროვე უსაშინელეს ომში, რა ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ერს, რომლის შვილებიც შეუდარებელ მებრძოლებათ ითვლებიან მტრების წინააღმდეგო, ჩვენ ვალდებულნი ვართ ჭება-დიდებით მოვიხსენიოთ ქართველი ერი და მხურვალე მადლობა გადაუხადოთ მათ შვილებსო. აი ამიტომ ჩვენ ვერას დროს ვერ გავიზიარებთ „რუსკია ვედომოსტ“-ში მოთავსებულ წერილის შინაარსს და ჩვენ გულის წყრომას ვაცხადებთ ყველა იმ გაზეთების მიმართ, რომლებმაც ქართველთა დასამცირებელი წერილები მოათავსესო; ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა სარჩული უდევს ყველა იმ წერილებს, თუ ვისი ნაკარნახევიც არის წერილებიო. აი ამიტომ გთხოვთ მოიტანოთ ვრცელი საპროტესტო წერილი, რომელსაც ჩვენ სიამოვნებით დაბეჭდავთო. აი სიტყვები, რომლითაც შემხვდა თქვენს კორესპონდენტს ამ გაზეთის რედაქციის კოლეგია. მთხოვეს აგრეთვე გაზეთ „საქართველო“-ში მოთავსებული საყურადღებო წერილები გადავთარგმნო, რომელსაც ისინი მოათავსებენ პერიოდულათ თავის გაზეთის ფურცლებზე. ამ დღეებში მოთავსდება აქ მყოფ ქართველ ახალგაზდათა საპროტესტო წერილი. „Южный Край“-ს რედაქცია სთხოვს „საქართველო“-ს რედაქციას გამოგზავნოს ვრცელი წერილი „Русскія Вѣдом.“-ში და სხვა გაზეთებში ქართველთა შესახებ მოთავსებულ წერილების გამო.

—

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული დეპეშებში, რომ გაიფიცნენ ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები. უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა სტუდენტთა ყველა მოთხოვნილება; პროფესორი პოლიაკოვი, რომლის უნივერსიტეტიდან დათხოვნას მოითხოვდენ სტუდენტები, ორი თვით დასასვენებლად წავიდა. როგორც დანამდვილებით ამბობენ, პროფ. პოლიაკოვი აღარ დაბრუნდება ხარკოვის უნივერსიტეტშიო.

ი. უ—ი.

ხარკოვი.

წერილი ქართლიდან

წინა წერილში მე მოთავსებული მქონდა გაზ. „საქართველოში“, რომ კასპის წვრილ კრედიტის ამხანაგობამ აღუთქვა სოფელს სათესლე პური (შავი ფხის) გამოწერა, რომ გაზაფხულზედ დაეთესნათ, მაგრამ პური დროზედ არ მოვიდა. ამის გამო მინდვრები დაუთესავი დარჩათ. როგორც გამოირკვა მართლაც წვრილ კრედიტის ამხანაგობას გამოწერილი ჰქონია, მხოლოდ რკინის გზის მართველობას დაუგვიანებია გზაზედ. ამ თვის დამდეგს ერთი ვაგონი პური მოუვიდათ ტ კიდევაც დაურიგეს.

როგორც გადმომცეს, შაბიამანიც შეკვეთილი ჰქონია ამავე ამხანაგობას ფრიდონოვისათვის, იმედია ამასაც მოიყვანენ სისრულეში, თუ ბ. ფრიდონოვის მხრიდან არ გამოჩნდა რამე დაბრკოლება.

ამ თვის ათში სოფ. კასპის გარეშე სოფლებში დიდი სეტყვა მოსულა, რომელსაც დიდი ზიანი მოუტანია. ამის გამო იმედ-დაკარგული გლეხკაცობა სულ გაკრეფილა სხვა სოფლებისაკენ სამუშაოდ. როგორც სოფლელებმა მიამბეს იმისთანა გრიალით მოდიოდა სეტყვაო, გვეგონა წარღვნა მოგვადგა კარზეო. მაგრამ სეტყვა ორათ გაიყო, ერთი ნაწილი წავიდა მარჯვნივ, მდებარე სოფლებისკენაო, მეორე ნაწილი მარცხნივ მტკვრის გაღმა მდებარე სოფლებისკენ და სოფ. კასპი კი დარჩა უვნებელიო. მე არ მახსოვს, რომ ს. კასპი როდისმე ხელაღებით ყოფილიყო დასეტყვილი, მაგრამ გარეშე სოფლები თითქმის ყოველ წელიწადს ისეტყვება, ხან მსუბუქათ, ხან კიდევ ხელ-აღებით.

ხანგრძლივი ავდრები ძალიან ხელს უშლის მუშა ხალხს, სიმინდ-ლობიოს თოხნას და ვენახის შემუშავებას. ერთი დღე რომ გამოიდაროს იმ დღეს კაცი თუ დედაკაცი იშლება ფუტკარივით და მიესწრაფება საქმისაკენ. უხარო მუშა ხალხმა, რომლებიც ხვნა-თესვას ვერ მისდევენ, გაზაფხულითვე ასწიეს ფასი, სამ აბაზიან მუშამ გაზაფხულიდგანვე ითხოვა დღეში ექვსი აბაზი, ეხლა თოხნაა გაჩაღებული სიმინდების, მაგრამ მუშის ხელფასი ორ მანეთამდე ავიდა. საქონლისა და გუთნის პატრონებმა მათ უთხრეს, ოროლ მანეთს არ მოგცემთო, რადგანაც დღეში ორი მანეთის საქმეს ვერ გაგვიკეთებთო. მეგუთნეებმა დაიწყეს ერთმანეთის შველა მეგუთნეებმაც მიაღწიეს თავის მიზანს, დარჩნენ მემამულე თავადაზნაურობა. მათ რაღა ქნან, ეხლავე მისცენ მუშას ოროლი მანეთი. ყანის მკის და ცელვის დროს რაღა ქნან ან რითი ააყენონ ამოდენა ხარჯი.

1914 წ. სიმინდების თოხნაში მუშაობდნენ თავის პურით დღეში სამ აბაზათ, ყანის მკის და ბალახის ცელვის დროს მუშა იღებდა თავისი პურით დღეში მანეთს—ექვს აბაზს. სამაგიეროდ უხარკამეჩო მუშა ხალხს შეეძლო ჭირნახულის ყიდვა თავის მეზობლისაგან კოდი სიმინდი (4 ფუთია) რვა ცხრა აბაზათ. პური კოდი (4 ფუთია) სამ მანეთათ ან ოთხათ, ლობიო ჩანახი (20 გირ.) ათ შაურად. ურემი თივა თუმნათ. დანარჩენი სანოვაგეც ისყიდებოდა იაფათ.

1915 წელს. მუშამ გაზაფხულიდანვე ასწია ფასი, სიმინდის თოხნაში იღებდნენ თავის პურით თოთხმეტ შაურს. ყანის მკის და ბალახის ცელვის დროს თავის პურით მანეთ ნახევრიდგან ორ მანეთამდისინ. მუშა-ხელის სიძვირემ გამოიწვია ჭირნახულზედაც ფასის მომატება, კოდი სიმინდი ფასობდა სამ მანეთიდგან სამ მანეთ ნახევრამდე. ხორბალი ოთხი-ხუთი მანეთი, ლობიო ჩანახი სამი—აბაზი თოთხმეტი შაური. ურემი თივა თხუთმეტ მანეთად, სხვა ბოსტნეულობასაც მოემატა ფასი.

1916 წელს მუშამ გაზაფხულითვე ასწია ფასი. უბრალო მუშა ექვს აბაზ ნაკლებ არ მუშაობდა. დადგა მაისი, მოვიდა სიმინდების თოხნა, მუშის ხელფასი ორ მანეთამდე ავიდა. შარშან კოდი სიმინდი სამ-ოთხ მანეთად იყიდებოდა, წრეულს კოდ სიმინდში უხარკამეჩო ხალხმა უნდა მისცეს რვა-ცხრა მანეთი, ხორბალში თორმეტ-თოთხმეტი მან., ლობიოში ჩანახში ორი მანეთი.

ბ.ხეთაგუროვთან მუშაობდენ 40 კ. 60 კ. ტ ორ მანეთად; ნათქვამია ფუტკარი იქითკენ მიეშურება, საითკენაც თაფლი ეგულებაო. კასპის მუშებიც კაცები, დედაკაცები, გოგოები და ბიჭები დილა ადრიანათ ფუტკარივით გაიშლებიან და მიემგზავრებიან ბ. ხეთაგუროვის სანერგესაკენ.

საწყალი მუშა ეხარბება ფულს სტოვებს თავის გავერანებულ ვენახს, ბოსტანს, კარმიდამოს და სამუშაოდ სხვაგან გარბის. მეორეც სამუდამოდ მას ხელიდგან ეცლება მამა პაპეული მამული და რჩება გავერანებული საშვილიშვილოდ. თვალ წინ გვიდგა ის აოხრებული სოფლები სადაც არსებობს საუფლისწულო მამულები, იქ მომუშავე მუშას კაცებს, დედაკაცებს, გოგოებს და ბიჭებს იმისთანა დღიურ ფასს აძლევენ, მამულის პატრონებმა რომ მივცეთ, მაშინ ერთ თვეზედ ჩვენი მამულებიდან ხელი უნდა ავიღოთ. ამ 15 წლის წინეთ ჩემ სამსახურის დროს ს. ნაფარეულში საუფლისწულო მამულში ისეთები მოდიოდნენ ჩემთან გარეშე სოფლებიდგან წლიურ მოჯამაგირეთ დასადგომად, რომ იმას თავის მამულში ემუშავნა და წესიერად შეემუშავებინა, მას ცხოვრებით არც ერთი თავადიშვილიც არ ემჯობინებოდა. ასევე იყო ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის პლანტაციაში, ამ ათის წლის წინეთ ჩემ იქ სამსახურის დროს ბევრი გურული აზნაური მოაწყდა ჩაის ფაბრიკას და ირჩიეს მათთან წლიურად დგომა და თავიანთ მამა პაპეული მამულების განადგურება.

მართალია მუშა ხალხი ბევრ უბედურობას განიცდის მამულების გარდასახადებისა და სხვა წვრილმან ხარჯების გამო, მაგრამ მამა-პაპეული მამული და სახლკარი ხელიდგან მაინც არ უნდა გაუშვას. დედაკაცები მამაცათ უნდა ამოუდგნენ გვერდში და მაშინ ბუნებით მდიდარი ჩვენი საქართველო, ერთი ათად აყვავდებოდა მეურნეობის მხრივ. მგონია ეხლა მაინც დროა ჩვენი დედაკაცების გამოფხიზლებისა.

არ. დარეჯანაშვილი.

დაგა-სოფლები

დ. ხაშური. ბრანდერის დრამა „სტუმარი“, რომელიც 25 მაისს უნდა აქ დადგმულიყო შალვა დადიანის, ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილის, მურუსიძის და სხვათა მონაწილეობით **გუია რატიანის გარდაცვალების გამო** მსახიობთა სურვილით გადაიდო.

ვერაგულად მოკლული გუია რატიანის გვამი 1 საათზე გამოასვენეს სახლიდგან ეკლესიაში დასასვენებლად. მოკლულის პატივსაცემლად თითქმის მთელი ხაშურის და სურამის საზოგადოება შეიკრიბა. იყვნენ აგრეთვე ყველა ადგილობრივ სასწავლებელთა მოწაფენი. სამგლოვიარო პროცესიის დროს უკრავდა მუსიკა და გალობდა მოწაფეთა გუნდი. განსვენებულის კუბო ყვავილებით იყო სავსე. წინ მოწაფეთ მიჰქონდათ გვირგვინები. გვირგვინები იყო თვითეული (დაწყებული უმცროსი მოსამზადებელი განყოფილებიდან გათავებული მეშვიდე კლასით) კლასიდან ცალკე, ვაჟთა გიმნაზიის თანამოსამსახურე მასწავლებელთაგან და აგრეთვე ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურ შემადგენლობიდან. გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს განსვენებულის თანამოსამსახურე ამხანაგებმა ნ. იმნაიშვილმა მკვლელობის ადგილზე და კ. გაგუამ. განსვენებულის ნეშტს ყვავილებით მორთულ ვაგონში ორშაბათს ღამის 2 საათზე წაასვენებს ქ. ქუთაისში.

—

დ. სურამი. 24 მაისს აქ გორის საზოგადოების „მანდილოსანის“ თანხის გასაძლიერებლად უნდა წარმოედგინად ქართული პიესა „კაცია—ადამიანი“ და ჩეხოვის „იუბილე“, მაგრამ გუია რატიანის ხსოვნის პატივსაცემლად გადასდეს.

—

სოხუმი. აქ, ერთი წრის-მიმართულების თაოსნობით დაარსდა ქართული კიოსკი „დიოსკურიას“ სახელ-წოდებით. კიოსკის დანიშნულებაა ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები გაავრცელოს სოხუმში მცხოვრებ ქართველ ხალხში და მით ხელი შეუწყოს მის გათვითცნობიერებას.

აქაური ქაროველები წმინდა გარუსების და გადაგვარების გზას დასდგომიან, სამშობლო ენა დაუვიწყიათ და კაცი, ქალი, ბავში, დიდი და პატარა რუსულად ჟღურტულობენ, რუსულად მუსაიფობენ კერძოთ თუ საზოგადოთ, ერთი სიტყვით, ქართველ კაცს თავისი თავი სოხუმში, რუსეთის რომელიმე დედა ქალაქში ჰგონია, სადაც ქართულ ლაპარაკს სრულებთ ვერ გაიგონებთ.

აგრეთვე აქ, საკმაოთ მოიპოვებიან ისეთი „ჭეშმარიტი რუსები“, რომლებსაც სურთ წყალი აამღვრიონ და ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ. სოხუმის სასოფ.-სამეურნეო ბიულეტენში მათ მიერ მოთავსებული პროვოკაციული ცნობა აფხაზების წინააღმდეგ, მათ „ჭეშმარიტ რუსობას“ სავსებით ამტკიცებს.

გული გიკვდება,როდესაც ხედავ რომ ზოგიერთი ქართველები ასეთ ვაჟბატონებთან მეგობრულ განწყობილებაში იმყოფებიან და მხარს უმშვენებენ.

იქ კი, სადაც თავის ენას, თავის სამშობლო ინტერესებს აფასებენ და პატივსა სცემენ, ასეთ ვაჟბატონებს პირიქით, ბოიკოტით უმასპინძლდებიან და ყოველივე კავშირს სწყვეტავენ მათთან. ჩვენში კი, ასეთებს კუდში დავსდევთ და ველაქუცებით; ვშიშობთ მათი რისხვა არ დავიმსახუროთ და ვიქცევით ისე, თითქოს ჩვენს ქვეყანაში უფლება არა გვქონდეს ჩვენს თავს პატივი ვსცეთ და ჩვენი სამშობლოს ინტერესები სხვას ფეხს-ქვეშ არ ვათელვინოთ.

როდესაც ჩვენს თავს ჩვენვე პატივს არა ვსცემთ, სხვა რა ხეირს დაგვაყრის.

ჩვენი კიოსკის დანიშნულებაა სოხუმის ქართველ საზოგადოებაში ქართ. ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გავრცელება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყვეთ სხვა ეროვნების ჟურნალ-გაზეთებიც ვიქონიოთ, როგორც ამას ზოგიერთები ავრცელებენ. ზოგიერთ გულუბრყვილოთა აზრიც ასეთია: თუ შენი სამშობლო და ენა შეიყვარე, სხვისი უსათუოდ უნდა შეიძულოთ. ჩვენ შორსა ვართ ასეთ—აზრთან, მხოლოდ დავსძენთ კი: როდესაც შენი სამშობლო და ენა დაგივიწყია, სხვისაც ვერასოდეს ვერ შეიყვარებ. ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, კაცობრიობაზე, მთელ ქვეყანაზე მეტია ლაპარაკი, ვინემ ჩვენს საკუთარ სამშობლოზე და კუთხეზე.

მოუწოდებთ სოხუმის ქართველ ხალხს ხელი შეგვიწყონ ჩვენს მიზნის განხორციელებაში და მით საშუალება მოგვცენ დაწყებული საქმე გავაგრძელოთ.

მოუწოდებთ აგრეთვე აქაურ ქართველ მუშებს და ნოქრებს დაგვეხმარონ ამ სიმპატიურ საქმეში და ყურადღება არ მიაქციონ ზოგიერთების უაზრო მითქმა-მოთქმას. „ეს კიოსკი შოვინისტ-ნაციონალისტების არის და როგორც ასეთი, შორს მათგანაო“.

დროა სხვისი ფეხის აყოლას თავი მივანებოთ, შეგნებულათ ავსწონ-დავსწონოთ ყველაფერი, საკუთარი ცოდნით და შეგნებით შეუღგეთ ავის და კარგის გაგებას.

დრო არის სხვის აპეკუნობას თავი დავახწიოთ.

პრ. ასკანელი

ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო

ნუ თუ საკმარისი არ იყო ამ უკანასკნელ დროის მსხვერპლები, როგორც ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვების დაკარგვა, ნუ თუ არ ყოფნის საქართველოს სისხლის დანთხევა და წუთისოფლის გამოსალმება ბრძოლის ველზედ ვაჟკაცურად დახოცილ გმირებისა, რომელთა ცოლ-შვილი, დედ-მამა და ოჯახი თითქმის სამუდამოდ გაუბედურებული დარჩენ, ნუ თუ ყოველივე ეს საკმარისი არ იყო,რომ ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდა და იმედებით სავსე მგოსანი ირეოდიონი. რაღა დაგვრჩენია სანუგეშოთ თუ ამ მუხთალმა ბედმა არ იბრუნა პირი? დაგვრჩენია მხოლოდ ერთად ერთი იმედი, რომ იქნებ აწი მაინც აყოფინოს ბედმა ქართველ ერს ამოდენი ტირილი, ამოდენი აუტანელი ვაივაგლახი და მომავალში მაინც გაეღიმოს და გაძლიერეს მისი სულიერი მდგომარეობა, აკმაროს ამოდენი რჩეულთა სიკვდილი და ააღორძინოს და განამტკიცოს იგი სულიერად, გონებრივად და ნივთიერად. დეე ჩვენმა მოწინავე მოღვაწეებმა ამ იმედებით გულში, ირეოდიონის სამარის წინაშე, მისცენ ერთმანეთს ხელი, განამტკიცონ სოლიდარობა ეროვნულ საკითხებში, გაუძღვენ ერთათ ხალხს წინ და მათი მაგალითით ქართველი ერიც გაუძღვება თვის საქმეებს და არ გახდის სამშობლოს მტრების დასაცინავად. სხვათა შორის იგივე ერი იზრუნებს იმაზედაც, რომ თვის საზოგადო მოღვაწეებს შეუმსუბუქოს ცხოვრების ტალღებიდან შელახული მდგომარეობა და ააცდინოს იმისთანა გასაჭირი, როგორიც გამოსცადა უკანასკნელ დროს ჩვენმა ნეტარხსენებულმა მგოსანმა ირეოდიონმა და რომლის მსხვერპლიც გახადა იგი.

ღრმად დამწუხრებულნი ირეოდიონის უდროოთ დაკარგვით აზოვდონის კომერციული ბანკის ქუთაისის განყოფილების მოსამსახურენი უცხადებენ გულითად მწუხარებას ირეოდიონის ოჯახობას და მისი პატივისცემის აღსანიშნავად გვირგვინის მაგიერ გაახლებთ ჩვენს წვლილს **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად** 35 მანეთს.

ამასთანავე გაახლებთ შემომწირველთა სიას: ი. პურადაშვილი—10 მან., გ. ვარლამოვი 5 მან., ლ. ჩხენკელი 3., ბ. შარაშიძე 3 მ., იაგორ ურუშაძე 3 მან., ილ. ჭყონია 3. მან., თად. შენიძე 1 მან., დავ. ჩარგეიშვილი 1. მან., დათა ნიშნიაძე 1 მან.,

შემთხვევით კერძო პირნი: ზაქრო ვარდანაშვილი 2 მან., ზებუ ფიჩხაძე 2 მან., ის. მარდ. ელიგულაშვილი 1 მან. სულ 35 მან.

ი. ი. პურადაშვილი.

შემოწირულება

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას სწირავს ბატ. მამულაშვილს, რომელმაც ალეგრის გამართვის დღეს ორი თუმნის ღირებულების ყვავილების თაიგულები გამოუგზავნა.

—

რედაქციამ მიიღო ნიკოლოზ ლეჟავასაგან ხუთი მანეთი **ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ და ერთი თუმანი **აგარაკის ასაშენებლად.**

წერილი რედ. მიმართ

ამა წლის 1 მაისის ნომერში—გაზეთ „სახალ. ფურც.“ მოთავსებული იყო წერილი მეჯვრისხევიდან უცნობი ავტორისა. მომხდარი ინციდენტი პრ. ი. გამრეკელის და ადგილობრივ სკოლის ზედამხედველის ა. მთიულიშვილის შორის მეტად ფერად საღებავით იყო დასურათებული და გაბედულად ნათქვამი. ალბად კორესპონდენტს ის დაუწერია, რაც გაუგონია.

ჯნდა მოვახსენოთ ბ. კორესპონდენტს, რომ ყველა უსიამოვნება „მკლავაძეობას“ არ ნიშნავს და ყველა ქეიფი „ხულიგანობით“ არ მოინათლება.

რამდენადაც გავიგე მთიულიშვილს საქმე სასამართლოსათვის მიუნდვია და იქ, უეჭველია, სიმართლე გამოირკვევა.

ბ. კორესპონდენტი, თუ დამსწრე იყო მომხდარის ინციდენტისა, ვსთხოვ მოწმედ გამოცხადდეს სადაც ჯერ არს „დაჩაგრულის“ მხრივ და პრესაში ნაამბობი სასამრთლოში დაადასტუროს. უკეთუ ამას იზამს, მას უფლება ექნება ჩვენ რაც სურს ის გვიწოდოს.

ეხლა კი მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ მის წერილს გამო, სადაც სხვათა შორის ჩემი ძმით ი. გამრეკელით ხულიგნად მოგვნათლა.

სტ. გ. გამრეკელი

P. S. ეს წერილი თავის დროზე წარდგენილი იყო „სახ. ფურც.“ რედაქციაში, მაგრამ არ დაბეჭდეს.

გ. გამრეკელი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ქ. ბ ქ ო ზ ი

ღ ვ ი ნ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა

„მ ე ლ ა ა ნ ი“

თ. ი. ზ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი დ ა ა მ ხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საძოვნელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

თევზის მრეწველნი

ძმ. ბ ე ბ ვ ე ლ ო ვ ე ბ ი

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ა ვ ლ ა ბ ა რ ი

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ბაილოვის-შვილი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „**ოეშჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძ ო ლ ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

მ. ბ ა ბ ა ბ ა რ ო ვ ი ს ა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)